

საქართველოს რაგბის კავშირის, „მსოფლიო რაგბისა“ და „რაგბი ევროპის“ ეგიდით საქართველოში გასამართ მატჩებზე მოქმედი „მატჩის მეთვალყურის“ (დელეგატის)

## დებულება

### სტატუსი

0.1 რაგბის მატჩის მეთვალყურე (დელეგატი) – შემდგომში, წინამდებარე დებულებაში მოხსენიებული, როგორც მეთვალყურე – არის საქართველოს რაგბის კავშირის (შემდგომში სრკ) მიერ შერჩეული, ქმედ'უნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს სრკ-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე – წინამდებარე დებულებით, სრკ-ის წესდებით, "მსოფლიო რაგბისა" და სრკ-ის მიერ დადგენილ წესთა შესაბამისად

0.2 მეთვალყურე – წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად – ახორციელებს მეთვალყურეობას სრკ-ის, „მსოფლიო რაგბისა“ და „რაგბი ევროპის“ ეგიდით საქართველოში გასამართ ყველა ტურნირზე: მათ შორისაა "დიდი 10"; პირველი, რეგიონული, დუბლიორთა, ჭაბუკთა „ა“ და „ბ“ ლიგები, და ბავშვთა ფესტივალები

0.3 მეთვალყურე უშუალოდ ანგარიშ'ვალდებულია სრკ-ის საშეჯიბრო კომიტეტთან არსებული მეთვალყურეთა ქვე-კომიტეტის წინაშე და ასრულებს ამის მითითებებსა და ინსტრუქციებს

### პასუხისმგებლობა

0.4 მეთვალყურის მიერ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში – დარღვევების მნიშვნელობისა და სიმძიმის გათვალისწინებით – მეთვალყურის მიმართ გამოიყენება "სადისციპლინო კოდექსით" განსაზღვრული სანქციები

0.5 მეთვალყურე ვალდებულია, სრკ-ის საშეჯიბრო კომიტეტის მიერ დანიშნულ დროს – წელიწადში ერთხელ – გაიაროს ტესტირება

0.5.1 სრკ უფლება'მოსილია, გაითვალისწინოს ამგვარი ტესტირების შედეგები მეთვალყურესთან შრომითი ურთიერთობის გაგრძელება | შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას

### ფორმატი

0.6 მეთვალყურის სამუშაოს აღწერილობა ქვემოთ მოტანილია პირველ პირში (მაგ: მივიდე, მოვიკითხო, გავარკვიო, დავუკავშირდე ...)

0.6.1 იმას, რაც ეხება მხოლოდ "დიდ 10-ს", თვალ'საჩინოებისთვის უზის **დ10**

0.6.2 მეორე სვეტში მოტანილი რიცხვი უთითებს დროს წუთებში: მინუსი – თამაშის დაწყებამდე, პლუსი – დაწყების შემდეგ

### მისვლა

-60

1. მივიდე სტადიონზე თამაშამდე არა უგვიანეს (მინიმუმ) ერთი საათით (60 წუთით) ადრე

1.1 თან ვიქონიო:

1.1.0 დელეგატის გულ'საკიდი (ბეჯი)

1.1.1 მომუშავე (დამუხტული და ანგარიშ-შევსებული) მობილური

1.1.2 **დ10** (+ სხვა კაცთა ლიგებიც) შეცვლის ბარათები

1.1.2.1 სამკლავურები (წყალი | ექიმი | სტაფი) – **საჭირო არაა დიდ 10-ში!**

1.1.3 შავი კალამი

1.1.4.1 "თამაშის ოქმის" ბლანკი – **საჭირო აღარაა დიდ 10-ში!** (ოქმი იწარმოება კომპუტერულად)

1.1.4.2 **დ10** "დელეგატის პატაკის" ბლანკი

1.1.5 **დ10** წნევის მზომი – მანო'მეტრი

მოკითხვა	-60	<p>2. მისვლის'თანავე მოვიკითხო:</p> <p>2.0.1 "სტადიონის ადმინისტრაციის წარმომადგენელი" და დაცვა</p> <p>2.0.2 მსაჯთა ზრიგადა: "მთავარი მსაჯი" (რეფერი), ორი თანა'მსაჯი</p> <p>2.0.2.1 <b>დ10</b> და "მეოთხე მსაჯი" – შემდგომში მოიხსენიება, როგორც მეოთხე</p> <p>2.0.3 ორივე გუნდი და მათი მენეჯერები – გუნდიდან თითო</p> <p>2.0.3.1 გუნდთან ყველა'ნაირი ურთიერთობა – მხოლოდ მენეჯერის მეშვეობით!</p> <p>2.0.4 <b>დ10</b> მატჩის მდივანი (კომპიუტერული ოქმის მწარმოებელი)</p> <p>2.0.5 გუნდების მედ'პერსონალი</p> <p>2.0.5.1 შევახსენო ამათ საჭიროების შემთხვევაში "სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის" გამოძახების აუცილებლობა</p> <p>2.0.6 შევაჯერო მსაჯებთან, მენეჯერებთან, მდივანთან ჩემი (მობილურის) საათი, რათა ყველამ შეწყობილად ვიმუშაოთ</p> <p>2.1 თუ ნებისმიერი მათგანი ადგილზე ჯერაც არაა – ვიღონო ყველაფერი ხარვეზის აღმოსაფხვრელად:</p> <p>2.1.1 დავუკავშირდე და გავარკვიო ვითარება</p> <p>2.1.2 საჭიროების შემთხვევაში მოვიძიო შემცვლელი</p> <p>2.1.3 გამოუვალ ვითარებაში შევეხმიანო კავშირს და ვიმოქმედო მისი მითითების მიხედვით</p>
მოედანი	-50	<p>3. თამაშამდე 50 წუთით ადრე მსაჯებთან ერთად დავიარო   დავათვალიერო მოედანი</p> <p>3.1 თუ რამე (ხაზები, ალმები, შალითა ... ) სათანადოდ ვერაა – მასპინძელ გუნდს, სტადიონის პერსონალის შემწეობით, გამოვასწორებინო ხარვეზი</p>
სიები ფორმები	-45	<p>4. თამაშამდე 45 წუთით ადრე</p> <p>4.1 <b>დ10</b> მდივანთან გადავამოწმო, გამოაგზავნა თუ არა ორივე გუნდმა წინა დღით (დათქმულ ვადაში) გადანომრილი, 23-კაცა სია</p> <p>4.1.1 <b>საჭირო აღარაა დიდ 10-ში!</b> მენეჯერებს გადავცე ოქმის ბლანკი გადანომრილ სიათა შიგ ჩასაწერად</p> <p>4.1.2 შევახსენო, რომ შევსებული ოქმი დამიბრუნონ თამაშამდე 15 წუთით ადრე</p> <p>4.2 <b>დ10</b> მენეჯერს მოვთხოვო გამოგზავნილი სიის მდივანისთვის დადასტურება</p> <p>4.2.1 ხოლო თუ არ გამოუგზავნია – დაუყოვნებლივ (5 წუთში) შევაგვებინო იქვე, მდივანისთვის კარნახით</p> <p>4.2.2 შევამოწმო, სიაში მითითებულია თუ არა კაპიტანი და პირველ'ხაზელი სპეციალისტები</p> <p>4.2.2.1 და თუ არაა, იქვე დავაზუსტებინო მენეჯერს</p> <p>4.3 მსაჯებთან გავარკვიო, განსხვავდება თუ არა ფორმები იმდენად, რომ გაუგებრობა არ მოხდეს</p> <p>4.3.1 თუ ფორმები ერთნაირია, შეცვლა უნდა მოვთხოვო იმ გუნდის მენეჯერს. რომელსაც ეს დებულებით მართებს</p> <p>4.4 <b>დ10</b> მენეჯერს მოვთხოვო, მდივანს ოქმში ჩააწერინოს (ტექნიკურ) ზონაში დაშვებულ პირთა ვინაობა და ფუნქცია (წყალი   ექიმი   სტაფი)</p>

		<p>4.4.1 მენეჯერს შევახსენო, რომ ამ პირებსა და სათანადო მოთამაშეებს თამაშის დროს უნდა ეცვათ სათანადო ახალუხები (გადასაცმელები)</p> <p>4.4.2 <b>სხვა ლიგებში</b> ამ პირებს შეიძლება ეკეთოდ სამკლავურები</p> <p>4.5 <b>დ10</b> (+ სხვა კაცთა ლიგებიც) მენეჯერს გადავცე "შეცვლის ბარათები"</p> <p>4.6 <b>ყველა ლიგაში</b> შევამოწმო ოქმში შეყვანილ მოთამაშეთა ვინაობა და ლიცენზირება – მენეჯერს აქვს თუ არა ყველას ბარათი</p> <p>4.6.1 ვისი ბარათიც მენეჯერს არ აღმოაჩნდება – ვერ ითამაშებს</p> <p>4.6.2 მენეჯერს მისი შეცვლა შეუძლია სხვა ბარათიანით</p> <p>4.7 <b>ყველა ლიგაში</b> ვფლობდე ამომწურავ ინფორმაციას სრკ-ის საიტის „შავი დაფაზე“ განთავსებულ მოთამაშეთა და მწვრთნელთა სასჯელების ვადათა შესახებ</p>
მოთელვა	-40	<p>5. თამაშამდე 40 წუთით ადრე</p> <p>5.1 მენეჯერებს შევახსენო, რომ მოთელვა დაასრულონ თამაშამდე არა'უგვიანეს (მინიმუმ) 10 წუთით ადრე</p>
ბურთი	-30	<p>6. თამაშამდე 30 წუთით ადრე</p> <p>6.1 მსაჯებს მოვთხოვო სათანადო ბურთები და შევამოწმო:</p> <p>6.1.1 მარკა   ბრენდი და რაოდენობა – 3 ბურთი</p> <p>6.1.2 სათანადოდ თუ არიან დაბერილი – წნევის მზომით (მანო'მეტრით) 0.67 – 0.7, და</p> <p>6.1.2.1 <b>მასპინძელს</b> გამოვასწორ(ებინ)ო ხარვეზები</p>
ბურთის მიმტანები	-25	<p><b>დ10</b> 7. თამაშამდე 25 წუთით ადრე</p> <p>7.0 მასპინძელმა უნდა გამოყოს სათანადოდ ჩაცმული და გაწვრთნილი (მინიმუმ) 6 ბავშვი</p> <p>7.1 დავმოდვრო ბურთის მიმტანები – ჩავუტარო ბრიფინგი   ინსტრუქტაჟი ასე:</p> <p>7.1.1 კიდზე გადასულ ბურთს უცებ ნუ აიღებ – აცადე, ეგებ მოთამაშეს სწრაფად სურს შემოგდება</p> <p>7.1.2 განაწილდით თანაბრად – მოედნის ორივე ნაპირზე და ორივე ნახევრისკენ:</p> <p>7.1.2.1 6 მიმტანის შემთხვევაში: ორი-ორი კიდის ხაზებზე და თითო – ლელოთა უკან</p> <p>7.1.3 ნუ დაიზარებ – გადავარდნილი ბურთი მოიტანე დროულად, ოღონდ არ მოისროლო</p> <p>7.1.4 ნუ იცუღლუტებ – ბურთი გეჭიროს ხელში, მაგრამ ნუ გამართავთ თამაშსა   პასაობას</p> <p>7.1.5 აუტის ამგდებს მხარტვი ბურთი და თუ მოგთხოვა – პირ'სახოციც</p> <p>7.1.6 თუ თამაში ცენტრიდანაა გასახლებელი – ბურთი დროულად გააქცუნოს ერთმა</p>
დაზუსტება	-10	<p><b>დ10</b> 8. თამაშამდე 10 წუთით ადრე</p> <p>8.1 ორივე გუნდი დავაბრუნო გასახდელში</p> <p>8.1.1 ორივე მენეჯერს შევახსენო, რომ გუნდი თამაშამდე 3 წუთით ადრე სტადიონის გვირაბში მოეწყოს</p> <p>8.1.2 თუ მოთელვაზე ვინმე დაშავდა – მენეჯერი გავაგზავნო მდივანთან, რათა ჩასწორებინოს   დააზუსტებინოს სია</p> <p>8.2 შევახსენო მსაჯებს, რომ გამოსასვლელად მზად იყვნენ თამაშამდე 3 წუთით ადრე</p> <p>8.2.1 მათვე დავავალო, თუ გუნდები მოედანზე ტელევიზიის ნიშანზე'ლა გაუშვან</p> <p>8.3 მიმტანს ბურთი დავადებინო ცენტრში</p>

<p>ზონები</p>	<p>-3</p>	<p>9. დავათვალთვალო ტექნიკური ზონები</p> <p>9.0.1 <b>დ10</b> გუნდების გვირაბში მოწყობის თანავე</p> <p>9.0.2 <b>სხვა ლიგებში</b> მოთელვის დასრულების შემდეგ</p> <p>9.1 მენეჯერს მოვთხოვო, ზონა დაცალოს ზედმეტი საგნებისგან</p> <p>9.1.1 ეგენია: ბურთი, დასაჯახებლები, ტომრები, კონუსები</p> <p>9.1.2 ზონაში ნება'დართულია მხოლოდ ექიმის ჩანთებისა და წყლის ბოთლების (კალათიანად) დადება</p> <p>9.2 მენეჯერს კიდევ შევახსენო, თამაშის დროს ვინ შეიძლება იმყოფებოდეს ზონაში</p> <p>9.2.1 ეგენი არიან: თითო წყალი   ექიმი   სტაფი – სულ სამი კაცი: 1 + 1 + 1</p> <p>9.2.2 თუ ამ პირებს ახალუხები არ აცვიათ   სამკლავურები არ უკეთიათ – გავაძევო ზონიდან</p> <p>9.2.2.1 სანამ თავს არ მოიწესრიგებენ</p>
<p>შეწყვეტა</p>	<p>+</p>	<p>10. მატჩის (დაწყებამდე და მისი) მიმდინარეობისას – ნებისმიერ დროს – ვიღონო ყველაფერი თამაშის ნორმალურად ჩატარებისთვის,</p> <p>10.1 მაგრამ თუ ეს შეუძლებელია:</p> <p>10.1.1 ამინდის   უშუქობის</p> <p>10.1.2 მონაწილეთა უსაქციელობის</p> <p>10.1.3 გარეშეთა ჩარევის   მუქარის გამო –</p> <p>10.2 <b>"მთავარ მსაჯთან"</b> შეთანხმებით გამოვაცხადო თამაში გადადებულიად   შეწყვეტილად</p> <p>10.2.1 და დაუყოვნებლივ შევეხმიანო კავშირს</p>
<p>ოქმის შევსება</p>	<p>+</p>	<p>11. <b>საჭირო აღარაა დიდ 10-ში!</b> თამაშის დროს ოქმში</p> <p>11.0 მოხდენის რიგით შევიტანო ყველა მოვლენა:</p> <p>11.0.1 ბურთის გატანა – მიმდინარე ანგარიშის მითითებით</p> <p>11.0.2 მოთამაშის შეცვლა   დაბრუნება</p> <p>11.0.3 სინბინი</p> <p>11.0.4 წითელი ბარათი</p> <p>11.1 თუ რამე ვერ შევნიშე – შევეკითხო მეოთხესა და მენეჯერებს</p> <p>11.2 <b>ყველა ლიგაში</b> "დელეგატის პაკეტი"   "თამაშის ოქმში" ჩავწერო ნებისმიერი არა'სპორტული საქციელი, რომელიც მსაჯებმა ვერ შენიშნეს</p>
<p>მოთელვა თამაშის დროს</p>	<p>+</p>	<p>12. თამაშის დროს სათადარიგოებს შეუძლიათ მოითელონ (გახურდნენ) მეტოქის ლელოს უკან, და თუ ბურთი შორსაა – ლელოშიც</p> <p>12.1 ოღონდაც მათ არ უნდა ახლდეთ არავინ – თვით მაწრთობიც (ფიზ'მომზადების მწვრთნელი)</p> <p>12.2 მოთელვისას მოთამაშეებს უნდა ეცვათ ახალუხები</p> <p>12.2.1 მათ თან არ უნდა ჰქონდეთ ზედმეტი საგნები</p> <p>12.2.1.1 ეგენია: ბურთი   ბოთლი   დასაჯახებელი   ტომარა   კონუსი</p> <p>12.3 თუ ეს წესები ირღვევა – დაუყოვნებლივ ვიხმო მენეჯერი და წესრიგი დავამყარებინო</p>

წყალი

+

- 13. თვალ'ყური მივადევნო "მეოთხე მსაჯის" მიერ დარწყულების წესთა დაცვას
- 13.1 პაუზისას – გაჩერებულ თამაშში – მოედანზე წყლის მიწოდება | შეტანა შეიძლება:
  - 13.1.1 ტრავმის დროს
  - 13.1.2 **ლელოს გატანის შემდეგ**
  - 13.1.3 **ჯარიმის კარში დარტყმისას** სადგამის შეტანისას – **მხოლოდ დამრტყმელისთვის**
  - 13.1.4 მსაჯის მიერ (ტაიმში ერთხელ გამოცხადებულ) საგანგებო წუთშესვენებაზე
- 13.2 ნებისმიერ დროს – თუ მოთამაშე თავად მივა ზონასთან – **კიდის ხაზთან**
- 13.3 არ შეიძლება:
  - 13.3.1 როცა "ბურთი თამაშშია"
  - 13.3.2 მოედანში ბოთლის შეგდებით

შეცვლები

+

- 14. თვალ'ყური მივადევნო "მეოთხე მსაჯის" მიერ შეცვლა-დაბრუნების წესთა დაცვას:
  - 14.1 მენეჯერი "შეცვლის ბარათიანად" ეახლოს "მეოთხეს"
  - 14.2 "მეოთხემ" შეცვლის შემდეგ ბარათი დროულად ჩააბაროს
    - 14.2.1 **დ10** მდივანს
    - 14.2.2 **სხვა ლიგებში** კომისარს
  - 14.3 გამოცვლილი გავიდეს "სათამაშო გარემოდან" და გადაიცვას ახალუხი | გაიკეთოს სამკლავური
  - 14.4 ყვითლით გაგდებული გავიდეს "სათამაშო არიდან" და დაჯდეს სინბინისთვის გამოყოფილ ადგილზე
  - 14.5 წითლით გაგდებული გავიდეს "სათამაშო გარემოდან"
  - 14.6 "მეოთხემ" და **დ10** მდივანმა | **სხვა ლიგებში** თავად კომისარმა
  - 14.6.1 სათანადოდ დააკვალიანონ დასისხლიანებული მოთამაშის გუნდის მენეჯერი – თუ ნამკურნალევი რა დროს – ამ საათსა და ამ წუთზე – უნდა იყოს მზად
  - 14.7 სინბინის ამოწურვის შემდეგ დროულად | სწორად მოხდეს სასჯელ'მოხდილისა და "სპეციალისტის შესაშვებლად გაწირულის" დაბრუნება
  - 14.8 თუ საჭირო გახდა – შევახსენო მსაჯებს (მეოთხის მეშვეობით) და მენეჯერებს "ცრუ შერკინების" წესები
    - 14.8.1 მეტადრე ის, რომ კაცია მოსაკლები, სანამ არ აღდგება მიწოლა
  - 14.9 თუ საჭირო გახდა – გადავამოწმო **დ10** მდივანთან | **სხვა ლიგებში** ოქმში:
    - 14.9.1 მეორე ყვითელი ხომ არ მიიღო მოთამაშემ
    - 14.9.2 დაშავებული (მეტადრე ტვინ'შერყეული) ხომ არ ბრუნდება მოედანზე

შესვენება

+40

- დ10** 15. პირველი ტაიმის დამთავრების'თანავე შევახსენო "მეოთხე მსაჯს"
- 15.1 რომ 12 წუთის შემდეგ ორივე გუნდსა და მსაჯებს დაუკაკუნოს გასახდელის კარზე
- 15.2 და დროულად გამოიყვანოს მოედანზე

16. მატჩის დამთავრების თანავე:

16.1 **დ10** მდივანთან | **სხვა ლიგებში** ოქმში გადავამოწმო შედეგი –

16.1.1 ანგარიში

16.1.2 ლელოთა ბალანსი (შვიდ'ქულიანთა ჩათვლით)

16.1.3 გაძევებათა რაოდენობა და ტიპი

16.1.4 ეს მონაცემები ჩავწერო "დელეგატის პატაკის" | "თამაშის ოქმის" ყდაზე

16.1.5 გამოვუცხადო ერთ'ბაშად ორივე მენეჯერს

16.1.6 და ორივეს მოვაწერინო ხელი

16.2 **დ10** მდივანს გამოვართვა გამოყენებული "შეცვლის ბარათები" კავშირში წარსადგენად

16.3 მოვიკითხო ექიმები და მათ "დელეგატის პატაკში" | "თამაშის ოქმში" ჩავაწერინო ტრავმათა აღწერილობა

16.4 რიგ'რიგობით ვკითხო მენეჯერებს, ხომ არ აპირებენ პროტესტის დაწერას

16.4.1 თუ რომელიმე აპირებს, მაქსიმუმ თითო'ჯერ (მოკლედ) ჩავაწერინო "დელეგატის პატაკში" | "თამაშის ოქმში" პროტესტის არსი

16.4.1.2 და ვურჩიო, რომ დათქმულ ვადაში ვრცლად წარმოადგინოს | გამოაგზავნოს კავშირში

16.4.2 თუ მენეჯერმა პროტესტი არ ჩაწერა – "ზეტით" (Z) გადავხაზო სათანადო ნაკვეთი "დელეგატის პატაკში" | "თამაშის ოქმში"

16.5 თუ გაიცა წითელი ბარათი – მსაჯს "დელეგატის პატაკში" | "თამაშის ოქმში" ჩავაწერინო მიზეზი – ინციდენტის მოკლე აღწერა

16.5.1 "წითლით გაძევებული" მოთამაშის გუნდის მენეჯერს გამოვართვა ამ მოთამაშის "სალიცენზიო ბარათი" კავშირში წარსადგენად

16.6 **დ10** მარტომ – დამთავრებიდან 20 წუთში – შევავსო "დელეგატის პატაკის" ბოლო გვერდი – "შენიშვნები" და ვთხოვო მდივანს, სმარტ'ფონით გადაღებული სტადიონიდანვე | დროულად გაუგზავნოს კავშირს

16.6.1 **სხვა ლიგებში** დროულად დავურეკო სრკ-ის საიტის მეცხრილეს და ვაცნობო:

16.6.1.1 ანგარიში

16.6.1.2 ლელოთა ბალანსი (შვიდ'ქულიანთა ჩათვლით)

16.6.1.3 მსაჯის (რეფერის) ვინაობა